# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მოზრდილით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივს ასოთა ხერხისათვის 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოთავსებას [illegible] და შეიძლება [illegible] უშედეგოდ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.


მომავალ 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმით და წესით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლების და სხვა ღონისძიების შემწეობით, მომავლის წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. გ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში:—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: . . . . . . | 9 მან. | სამის თვით . . . . . . . | 3 ,, |
| ნახევარის წლით . . . . . | 5 ,, | ერთის თვით . . . . . . | 1 ,, |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

24-ს დეკემბერს.

პარიჟი. უცხო ქვეყნის ელჩებმა საფრანგეთის სამინისტროს თავმჯდომარეს დიუკლერკს გამოუცხადეს, რომ გამბეტტას სიკვდილმა ყველგან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და მწუხარება აღძრაო.

ლონდონი. ტრიპოლის იტალიელმა კონსულმა დასწრა ერთი ოსმალოს აფიცერი, რომელმანც შეურაცხყოფა მიაყენა მას; ამის გამო მაჭმადიან მცხოვრებლები აღელდნენ და კონსულის დასჯა მოითხოვეს. ოსმალოს მთავრობას ეშინიან, რომ ამ საქმეში იტალია იარაღით არ გაერიოს.

პეტერბურღი. სასახლის მინისტრი დაბრუნდა პეტერბურღში. ფრანცუზის აქტიორებმა: კოკლენმა და დიოდონემ მვირფასი ბეჭდები მიიღეს ხელმწიფე იმპერატორისაგან საჩუქრად; აქტრისამ ფავარმა კი მიიღო სამაჯე.

მიტროპოლიტ ფილარეტის ასის წლის იუბილეის დღესასწაული გადადვეს.

გაზ. „ბირჟის უწყებების“ სიტყვით, რკინის გზების ახალ კანონების პროექტს სახელმწიფო რჩევა მომავალ წლის მარტში ან აპრილში განიხილავს.

პარიჟი. გამბეტტას კუბო გუშინ ბურბონების სასახლის ზალაში დაასვენეს. მთელი ეს ზალა შავის მაუდით შემკულია და მაუდი ვერცხლის მაფით მოქარგული. კატაფალკას თორმეტი ნაბიჯი აქვს, მოფენილია სულ თაიგულებით და ყვავილებით. კუბოსთან მთელი დღე და ღამე მიცვალებულის მეგობრები უდარაჯობენ და რესპუბლიკურ გვარდიის სალდათები. სასახლის წინ მთელის დღის განმავლობაში უანგარიშო ხალხია მოგროვილი; შეადლიდამ უშვებენ ხალხს სასახლეში. გამბეტტას სასაფლაოზე მეგლის დადგმის უფლებას ალზას-ლოტრინგია თხოულობს.

24 დეკემბერს.

ტაშკენტი. ხოჯენტის მახლობლად ამ უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში ამოიღეს ოთხმოცი ათასი ფუთი მშვენიერის თვისების ქვა-ნახშირი. ღენ. ჩერნიაევმა დაათვალიერა ეს ქვა-ნახშირის მადანი, ბრძანება გასცა გზის გაკეთებისა და ფულით შემწეობაც აღმოუჩინა მწარმოებელთა.

პარიჟი. წუხელი მალონში მოკვდა ღენერალი შანზი.

ბელგრადი. სკუპშჩინამ მაიღომთავრობისაგან წარდგენილი ახალი კანონი შესახებ სერბიის არმიისა.

26 დეკემბერს.

პარიჟი. გუშინ დაასაფლავეს გამბეტტა. ორას ათასზე მეტი კაცი მიჰყვებოდა მიცვალებულის კუბოს; ხალხი რვა ვერსზე მიდიოდა; თავში და ბოლოში ჯარები იყვნენ, სულ 50,000 კაცი. მიცვალებულის ბალდახინის წინ სამი კარეტა მიდიოდა თაიგულებით და გვირგვინებით სავსე. კუბო ექვსის ცხენით შებმული ბალდახინს მიჰქონდა. შავის ხავერდით შემოსილი კუბო სამ-ფეროვან დროშებით და დაფნის ფურცლებით იყო შემკობილი. თვითონ ბალდახინზედაც უანგარიშო გვირგვინები, სხვათა შორის ტურგენევისა რუსების მხრით. კუბოს უკან მიდიოდნენ: ნათესავები გამბეტტასი, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი, მინისტრები, სენატორები, დეპუტატები, უცხო ქვეყნის ელჩები, ღენერლები, უანგარიშო დეპუტაციები გვირგვინებით და დროშებით; ხალხი განსაკუთრებით ალტაცებით მიეგება ალზას-ლოტარინგიის დეპუტაციას, რომელიც 4,000 კაცისაგან იყო შემდგარი. სულ 1,500 დელეგაციები იყვნენ. კუბოს რომ ხიდეს, ზარბაზნის სროლა იყო, ბარაბანს სცემდნენ და მუზიკა სამგლოვიარო მარშს უკრავდა. ყველა სახლები იმ ქუჩებზე, სადაც პროცესია მიდიოდა, შავის დროშებით იყო შემკობილი, მაღაზიები დაკეტილია. მეცის და სტრასბურღის მეგლები შავით არიან შემოსილი. სასაფლაოზე ბევრი სიტყვები წარმოითქვა.

## საყურადღებო ფაქტი

(წერილი რედაქტორთან)

ძალა ყოველივე ისტორიული ხალხისა, სივრცე და სიდიდე ამ ძალისა მტკიცდება, სხვათა შორის, მით—თუ რა ღრმა და ნაყოფიერი ზედ-მოქმედება აქვს ამ ხალხს სხვა ხალხებზე. თვით ეს ზედ-მოქმედება მაშინ არ არღვევს ზნეობრივი კანონის მოთხოვნილებას, როდესაც იგი უარ-ყოფს ყოველგვარ პოლიტიკურ მანქანებას და დასაბამად აღიარებს მხოლოდ დაწინაურებულ ხალხის შემოქმედებით ძალას, მის სულიერ ვითარებას.

სხვა-და-სხვა გვარად გამოხატული კაცობრიობის ცხოვრების ისტორიულ მიმდინარეობაში ზედ-მოქმედება ერთის ხალხისა მეორე ხალხზე, მრავალ გვარ ყალიბში ჩამოსხმული ფორმა აქ ზედ-მოქმედებისა, მაგრამ არც ერთი ფორმა არ ყოფილა და არც არის აწ ისე საზიზღარი, როგორც ფორმა, აშენებული პოლიტიკურ მანქანებაზე. ძველ ქვეყანაში ეს ფორმა ზედ-მოქმედებისა პოლიტიკურ ფორმად გადაიქცა და თვით დიდმა რომმა იწამა იგი სიბრძნედ, ალუგო მას ტაძარი. მთელი პოლიტიკური იდეალი ძველი ქვეყნისა, მისი ზნეობრივი მაჯის-ცემა, გულის-წადილი ამ მანქანების ტაძარში განხორციელდა.

სამწუხაროდ არც ქრისტიანულ ქვეყანამ უარ-ჰყო, არ განდევნა ეს ძველი პოლიტიკური დოგმატი. ეხლაც ხშირად, თითქმის ყოველს ნაბიჯზე, ვხედავთ პოლიტიკურს მანქანებას, ეხლაც ეს მანქანება სიბრძნედ სწამთ სახელმწიფო კაცებს. ამაოდ, სრულიად ამაოდ ისმის აქა-იქ, მიყარდნილ კუთხეებში წინააღმდეგი ხმა აწინდელი კაცობრიობის მცირედის, მაგრამ უკეთესის ნაწილისა. თვით მეცნიერება ხალხთა შორის უფლებისა ბანს აძლევს ცხოვრების სინამდვილეს, ბევრჯერ აქეზებს კიდეც მას. და რა არის აწინდელი ხალხთა შორის სწავლა, მეცნიერება? ხროვა ძველი ქვეყნის პოლიტიკური დოგმატებისა, იგივე ყოვლად დაუვიწყარი „დაიღუპოს კართაგენი!“ დიდის შიშით და ელდით ისმენდა თვითეული პატარა ხალხი რომის სიბრძნეს, . . .

საქართველოს თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ გამოუჩენია პოლიტიკური მანქანების ნიჭი და წადილი სხვა ხალხის გადაბირებისა, მისი განადგურებისა. ეს მოვლენა მით უფრო შესანიშნავია, რომ საქართველო პოლიტიკურ გაკვეთილებს სწავლობდა სპარსეთის და ოსმალეთის სკოლაში, სადაც ყოველი მასწავლებელი ბუნებით „პოლიტიკოსია“. მთელი ჩვენი ხალხთა შორის უფლება დაარსებული იყო ზნეობრივ დედა-აზრზედ.

აწინდელ თავის მდგომარეობაში ჩვენ სამშობლოს ხომ უფრო ძლიერ ეზიზღება დასაბამითი სიბრძნე იქნება, თქვენ ჰგონებთ. ეს იმიტომ რომ ჩვენი ხალხი აწ მოკლებულია კულტურული ზედ-გავლენის ძალას, საშუალებას? სულ წინააღმდეგი უნდა დავასკვნათ. დაახლოვებით ფაქტების გაცნობა ცხადად გვიჩვენებს ჩვენი ხალხის კულტურულს ძალას და, აი, ერთი ფაქტიც, რომელიც საყურადღებოა.

მე აქ მოგახსენებთ იმ კულტურულ ზედ-მოქმედებაზე, რომელსაც ვხედავთ ქართველის და ოსის ურთიერთ შორის მიმოსვლაში. ამიერ კავკასიის ოსი სცხოვრობს მხოლოდ ქართველ ხალხის სულიერი საზრდოთი, რომლის გარედ მას შეება არა აქვს. პირ-და-პირი დასკვნა ამ ზედ-გავლენისა არის ის, რომ ამიერ კავკასიის ოსი ქართველდება, ჰკარგავს თავის ხალხოსნურს სახეს, ვინაობას.

დიდად საყურადღებოა ეს ახალი მოვლენა და ღირსი შესწავლისა, ღირსი მით უფრო, რომ, გარდა თეორეტიული მნიშვნელობისა, იგი მოვლენა სავსეა მაღალ-მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგებით. აქ მტკიცდება საზოგადო სოციალური კანონი, რომელიც ასე ბრძანებს: ხალხი, მოკლებული შემოქმედობით ძალას, საკუთარს კულტურას, უნდა იქმნას

მსხვერპლად თავის მეზობლის — კულტურული ხალხისა. ამ სოციალურ კანონმა იმოქმედა ოსების წარსულს და აწმყოზე; იგი, უეჭველია, იმოქმედებს მომავალზედაც. საქმე იმაშია, რომ ოსეთი ყოველთვის მეტად ღარიბი და ღატაკი იყო შემომქმედობითი ძალით; მან ვერ შეიმუშავა, ვერ შექმნა საკუთარი კულტურა, ვერ განავითარა თავის ხალხოსნური „მე"; იგი იკვებებოდა იმ სულიერი საზრდოთი, რომელსაც ჰპოვებდა თავის ბუნებით მდიდარს მეზობელში. ეს მეზობელი გახლდათ ქართველი თავის საკუთარი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების განწყობილებით. ეს მეზობელი უწერდა ოსებს კანონებს.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, უწინდელს დროს ოსს თავის სახე ჰქონდა, იგი იცვავდა კიდეც თავის ვინაობას. შემდეგ დრონი შეიცვალენ; შეიცვალა შინაგანი ცხოვრება ქართველისა და მერე ოსისა. ქართველმა შეიგნო, რომ ხალხოსნობის შესანახავად საჭიროა საკუთარი კულტურა, ამ კულტურის განვითარება, შემომქმედებითი ძალის აღზრდა, იმის სასარგებლოდ მოხმარება, შეიგნო და შეუჩერებლივ ელტვის თავის გულის წადილს. ოსი? იგი ელტვის მიუცილებელს დასკვნას — გადაბირებას, გაქართველებას. მოკლებული საკუთარ ისტორიულ წარსულს, კულტურას, რომელი ძალის მეოხებით წინააღუდგება ველური ოსი თავის ყოველ მხრით უფრო დაწინაურებულ მეზობელს? აშკარად, მეტად აშკარად სჩანს აწინდელი ოსეთის დაშლა, დარღვევა. ქართველი აქ არაფერ შუაშია. აქ მოქმედობს სოციალური კანონი და არა გარეგანი ძალა ქართველ კაცისა, არა მისი მანქანება, რომლისთვისაც მას არაოდეს არ მიუმართავს.

ფაქტი, რომელსაც ჩვენ აქ აღვნიშნავთ და არა განვმარტავთ, როგორც უკვე ვსთქვით, ჩვენთვის ბევრად საყურადღებოა. პირველად ეს ფაქტი ამტკიცებს ჩვენი ხალხის წარმატებითს ძალას, სიცხოველეს; მეორედ გვიჩვენებს მაგალითს — თუ რა საჭიროა ხალხოსნობის დასაცველად საკუთარი კულტურა და მასთანვე, კიდევ გვიხატავს მაღალ-ზნეობრივ მხარეს ჩვენი ხალხის განვითარების ზედგავლენისას სხვა ხალხზე.

ეს უკანასკნელი მხარე ნაჩვენები ფაქტისა შედარებითის მაგალითით უფრო მტკიცდება და, აი ეს მაგალითიც. იმიერ კავკასიის ოსები რუსდებიან. იქ ვხედავთ იმავე მოვლენას გადაბირებისას, რომელსაც აქ, ამიერ კავკასიის ოსეთში, მაგრამ მიზეზი სულ სხვაა, ერთი მიზეზი მეორესაგან ძირეულად განირჩევა: იმიერ კავკასიის ოსეთში მოქმედებს გარეგანი პოლიტიკური ძალა, რომელსაც განზრახ, დაუფარავად ესარჩლება, ხელს უწყობს თვით სახელმწიფო. ამიერ კავკასიის ოსეთზე თავისუფლად მოქმედებს მხოლოდ კულტურული ძალა ქართველი კაცისა; ეს ზედ-გავლენა მოშორებულია ყოველ-გვარ პოლიტიკურ მანქანებას და დაფუძნებული ზნეობრივ ჭეშმარიტებაზე.

ნიკო თადეოზაშვილი.

ს. ცხინვალი, 20 დეკემბერს.

## დღიური

შობის მეორე დღეს პირველად მოვიდა ტფილისში თოვლი, მაგრამ ისე ცოტა, რომ იმ დღესვე გადნა და დღემდინ აღარ მოსულა; ახლა თუმცა ცივი ქარი ჰქრის, მაგრამ დღისით მაინც მზე გვინათებს და ცოტა არ იყოს ზამთრის სუსხს ათბობს.

* * *

გასულს კვირას, 26 ამ თვეს, აქაურ უძველესმა სომხურმა გაზ. „მეღუ ჰაიასტანიმ" თავის ოც-და-ხუთი წლის არსებობის იუბილეი იდღესასწაულა. ამ დღეს, დილით, ვანქის სობოროში გარდაიხადეს პანაშვიდი „მეღუს" დამაარსებლის და პირველ რედაქტორის მანდენიანისა. შემდეგ „ევროპის სასტუმროს ზალში, პუკიაში. გამართული იყო სადილი 150 კაცისათვის. სადილზე ბევრი სიტყვები იყო წარმოთქმული. რომელშიაც რედაქციას თანაგრძნობას უცხადებდნენ და გაზეთს დღე-გრძელობით წარმატებას. რედაქციას ასზე მეტი მისალოცავი ტელეგრამმა მიუვიდა სხვა-და-სხვა მხრიდამ. სხვათა შორის ბ. სანაქსაროვმა „მეღუს" ახლანდელ რედაქტორს ბ. სიმონიანცს, სანამ ცოცხალი იქნება, 600 მან. პენცია დაუნიშნა. ამას გარდა ბაქოს სომხის საზოგადოებას ხელის-მოწერით მოუგროვებია ორი ათას მანეთამდინ, რომლის სარგებელიც რედაქციას უნდა მიეცეს. ბ. სიმონიანცს მიართვეს აგრეთვე ოქროს საწერელი. სადილი 8 საათზე გათავდა.

* * *

მნაწაკანას ხიდი სრულიად მზად არის. გასულ 24 ქრისტეშობისთვეს კომისიამ გამოსცადა იმის სიმაგრე და დარწმუნდა, რომ კარგად, მაგრად არის გაკეთებული. ამ დღეებში ხიდს აკურთხებენ და გახსნიან.

* * *

ოდესის ქართველ სტუდენტებისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი წერილი გაზეთში გამოსაცხადებლად:

„წელს ზაფხულში ტფ. გიმნაზიის ზოგიერთ შაგირდებს გაუმართავსთ ქ. სიღნაღს ქართული წარმოდგენა ჩვენი უნივერსიტეტის ღარიბ ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. ამ წარმოდგენიდამ შემოსული ფული სულ ორმოც-და-თერთმეტი მან., ჩვენ მივიღეთ და დანიშნულებისამებრ მოვიხმარეთ.

„გულითად მადლობას მოვხსენებთ ტფ. გიმნაზიის შაგირდებს და აგრეთვე ყველას, ვინც კი მიიღო მონაწილეობა ამ კეთილ საქმეში".

ამ წერილზე თერთმეტ ქართველ სტუდენტს აქვს ხელი მოწერილი.

* * *

ოსეთიდამ გვწერენ შემდეგს ამბავს:

„ამას წინად სოფ. წირხახორში მოხდა ერთი უბედურება: ვიღაც ავაზაკები მიუცვივდნენ ამ სოფელში ერთს მარტო-ხელ კაცს გაუტეხეს სახლი, ჯერ ბევრი სცემეს, მერე შეუკრეს ხელები და ბოძზე მიაკრეს, დედა-კაცი კი გააუპატიურეს. რაც რამ გააჩნდათ სახლში, წაიღეს და წავიდნენ.

„ეს ამბავი ამ საწყალმა კაცმა მამასახლისს აცნობა, რომელმანც უთხრა, თუ კიდევ მოგიხტნენ, შეგიძლია მოჰკლა ავაზაკებიო, კანონი არ დაგსჯისო.

„გასულ 21 ქრისტეშობისთვეს მართლა კიდევ ეწვივნენ ეს ავაზაკები ხსენებულ კაცს. რადგან კარები მაგარი იყო და ვერ ჩაამტვრიეს, ბანიდამ ჯერ ცეცხლ-მოკიდებული მზე ჩაჰყარეს, რომ კომლისაგან შინაურებს ვერაფერი დაენახათ; მერე თოკით ერთი თავის ამხანაგი ჩაუშვეს; მაგრამ ამ დროს კუნჭულში მიმალულმა სახლის პატრონმა აიღო თოფი, ესროლა ამ ავაზაკს და იქვე მოჰკლა."

* * *

„იურიდიულ მიმოხილვაში" იწერებიან, რომ ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ბ. ჩერნოგუბოვი სენატს გარდაუყენებია სამსახურიდამ და სამართალშიაც მიუ-

«დროების» ფელეტონი, 29 დეკემბ.

## მშობლის გოდება

სტიროდა დედა საწყალი:
„შვილი გავზარდე ურჩიო,
ჩემს ერთგულებას არ ჰფიქრობს
მით უბედური დავრჩიო!

—

ჩემს გულში ცეცხლი ანთია,
დუღს სისხლი, ალი გულს მიწვავს;
ვუყურებ დაღონებული,
ვხედავ, შვილობას არ მიზამს.

—

ხან მინდა მკაცრად დავსაჯო,
რომ ხელში მქონდეს ძალები;
ხან გულს ვიმაგრებ, თვალთგან კი
მდის ნაკადულის ღვარები.

—

მაშფოთებს, ვებრძვი ჩემს ფიქრებს
სასჯელი მიძლიერდება,
რომ უპატრონო ოხერსა
მტერი მილონიერდება.

—

სად არის ჩემთვის იმედი?
ვეძებ და ვერ მიპოვნია!
მაღონებს ეს ფიქრი და ვჭკნები,
ნუგეშად რაღა მშთენია?!

—

სიზმარებრ განქრნენ, წარვიდნენ
ის დიდებულნი დღენია,
ოდესაც ჩემსა სამშობლოს
თავს ადგნენ გმირნი ძენია!

—

თვით ცხლა ჩემი ნაშობი
შჯულოდ რომ მეკიდება,
მტრებსა თავს უხრის, უგრძნობლად
მოყვარეს კი ერიდება.

—

მისთვის ერთია, თუნდ მტერმან
დაღუპოს ჩემი ქონება:
ვინც გაუცინებს შორიდამ,
ის იმას დაემონება!

—

ამ ვაებისა მოწამე
დავსტირი ბედის-წერასა,
ყურს არ ვინ უგდებს ჩემს მოთქმას
და ჩემსა გულის ძგერასა!

—

ასე გაგრილდა ქვეყანა,
ხალხი ასხია ამ გვარი,—
მისთვის დაღუპვს ქონება
და ძველი ნაამაგარი....

—

ამ გულის ტანჯვით, მეც ვიცი,
რომ ველარ მოვეხმარები.

—

დიდი ხანია დამეხშო
მე სანუგეშო კარები!...."

—

იჯდა მოხუცი წყალის პირს,
ასე ამბობდა „ნანასა".
ნულარ გაუზრდი მშობელთა
გულ-გრილ შვილს ამისთანას.!

კნ. ნინო ორბელიანისა.

## ხვნეშიას და კოლას ცხოვრებიდამ

(ესკიზი)

И скоро міру лучшій плодъ
Весна иная принесетъ.
*Байронъ.*

ხვნეშიას და კოლას დიდ-ხანობამდინ ერთმანეთი თითქოს ეჯავრებოდათ, თუმცა სასწავლებელში ერთ სკამზედაც ისხდნენ და ბერძნულ სიტყვებსაც ერთად რიგ-რიგობით სწერდნენ. ლათინურს კი არავის დაანებებდა ხოლმე ხვნეშია, თავის მამა ქრისტესიაც რომ ამდგარიყო საფლავიდგან, რადგან ნამდვილ ფორმების ამოწერაზედ არვის ენდობოდა.

— სპეციალურად უნდა შევისწავლო, სპეციალურად! ამან უნდა მაჭამოს ლუკმა-პური, ამან!

მალ-მალ გვეტყოდა ხოლმე ხვნეშია. განუშორებლივ დაჰქონდა „გასუქებული" ლათინური ლექსიკონი; უცხო კაცს რომ შემოეხედნა უცებ, იფიქრებდა: გაკეთებული ბურვაკი ამოუჩრია იღლიაში იარმუკაზედ გასაყიდადო. ზოგი ბოროტ-ენებიც ხმას უყრიდნენ, ვითომ ყოველ ახალ-წლის ღამეს მთელ ლათინურ წიგნებს ბალიშ ქვეშ ამოიდებს და ისე იძინებსო.

საწყალი თუმცა ბევრს შრომობდა, ღამეს და დღეს სტეხდა ლათინურზედ, მაგრამ ის შეჩვენებული მასწავლებელი ისე გაძუნწდა, რომ ერთხელ ოთხი (4) არ აღირსა, განუშორებლივ სამი (3) იყო მისი სწავლის ნიშანი; ხანდისხან ჯვარსაც მოუმატებდა ხოლმე; მაშინ ხვნეშია, ცოტა არ იყოს, ქერა ულვაშებში გაიღიმებდა: კვლავ იქნება ოთხი გამოეიკრაო. შენ არ მომიკვდე, ის ვერ ეღირსა. საშინელი ჯავრი მოსდიოდა: ვინც იმის ოფლით, იმის სიტყვებით სარგებლობ-

ცია. მიზეზი ამისი ყოფილა ის, რომ ბ. ჩერნოგუბოვი თავის დროზე არ ასრულებდა ზოგიერთს საქმეებსა და როდესაც ამაზედ სენატმა პასუხი მოსთხოვა, იმან ყურებიც არ გაიბერტყა, პასუხიც არ მისცაო.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

„ამას წინად დავესწარით ცირკში ბლდანელის ჭიდაობას და მოწამენი ვიყავით იმ უკადრისის საქციელისა, რომელიც ამ გამოჩენილმა ფალავანმა ჭიდაობის დროს მოიქმედა. ის ეჭიდავებოდა პატარძეულელ კაცს, გვარად ძალაქიშვილს და როცა რამდენჯერმე დასცა ძირს ხანში შესული მოჭიდავე, ორჯერ მუშტი ჩაარტყა ცხვირ-პირში.

„მა საქციელი სწორედ გათამამებულის და, მივსცემთ ჩვენს თავს ნებას, გაბრიყვებულის კაცის საკადრისია და არა განთქმულის და სახელ-გავარდნილის ფალავანისა. წააქცია კაცი თითქმის ჭალარა-შერთული და არა ერთხელ, ორჯერ და სამჯერ დასცა ძირს. მსეც საკმარისი იყო მისთვის სულიერად და ხორციელად დასჯელად, რომ კიდევ მუშტები არ ჩაერტყა დაცემულის კაცისათვის, რომელსაც სხვა არა იყოს-რა, როგორც ამბობენ, ბლდნელის ტოლა შვილები ჰყავსო.

„ამ საზიზღარის საქციელით ბლდანელმა ბევრი დაკარგა და ზიზლის მეტი არა დაუმსახურებია-რა ხალხისა და საზოგადოებისაგან. ამ გვარი ბარბაროსობა შეჰფერის ველურს და გაუთლელს ბრიყვს და არა ფალავანს, სახალხო გმირს; გმირი მაშინ გმირობს, როცა სულ-გრძელობას იჩენს. არსენა იმიტომ არის საყვარელი ხალხისათვის, რომ მას კაცის-მკვლელობით ხელი არ შეუსვრია და მტერსაც სულ-გრძელობით ეკიდებოდა. წარმოიდგინეთ, რომ ბლდანელმა წააქცია ვინმე, ვთქვათ, თუნდ ჩიტო ძალატოზიშვილი და ამ გვარი საქციელი ჩაიდინა. ხომ მას ორს დღეს აღარ აცოცხლებენ. და ჯერ ვინ იცის შერჩება ის შეურაცხყოფა, რომელიც მან მიაყენა ძალაქიშვილს, თუ არა; ჯერ კიდე ვინ იცის ძალაქიშვილის შეურაცხყოფას არ მიიღებს თავის შეურაცხყოფად ის სოფელი, ის მხარე, რომელსაც ძალაქიშვილი ეკუთვნის?!

„ძაცი კაცი უნდა იყოს ყველგან და ყველა შემთხვევაში და ისეთ გმირს, როგორიც არის ბლდანელი, ამ გვარი საქციელი ყოველგვარს მიმზიდველობას დაუკარგავს ხალხისას და დღეს განთქმული და სახელ-ქებული, ხვალ შეიქმნება საზიზღარი და საქვეყნოდ თავ-ლაფ დასხმული.

„საუკუნო არ არის-რა და მჯობნის მჯობნი არ დაელევა. ხვალ რო ბლდანელი დასძალონ და ჩასცხონ ცხვირ-პირში, სასიამოვნო იქმნება მისთვის.

„ამაზედ უნდა იფიქროს ბლდანელმაც და მის მფარველებმაც, რომელთაც არ შეჰფერობსთ ამ გვარი საქციელის წაქეზება“.

* * *

ამ დღესასწაულებისათვის ჩვენმა დრამმატიულმა დასმა ერთი აფიშით გამოსცა საერთოდ ყველა წარმოდგენების სია 26 დეკემბრიდამ 9 იანვრამდის. ზოგ დღეს ორ-ორი წარმოდგენებიც უნდა ყოფილიყო და შემდეგაც უნდა იქმნეს და სულ კი 8—9 წარმოდგენა არის დანიშნული. ამ გვარი აფიშის გამოცემა, მთელი 9 წარმოდგენის ერთად გამოცხადება ჩვენ დასს წინდაუხედველობად უნდა ჩაეთვალოს. თეატრში მოსიარულე საზოგადოების რიცხვი, საუბედუროდ ძალიან მცირეა ჯერ ჩვენში—თითქმის ერთი და იგივე საზოგადოება დადის ყოველ წარმოდგენაზედ; ყოველი წარმოდგენის განცხადება რომ ცალკე ყოფილიყო გამოცხადებული, უეჭველია, უფრო მეტს საზოგადოებას მოიწვევდა და ეხლა, ამ საერთო აფიშას რომ გადაიკითხვენ, ერთი ამბობს: არა დღეს არ წავალ, ზეგ უკეთესი წარმოდგენა იქნება, მაშინ წავალ; მეორე კიდევ სხვა წარმოდგენას აირჩევს, მესამე—სხვას და ასე ამ რიგად ისეც მცირე თეატრში მოსიარულე საზოგადოება გაწილადდება და ეს დაეტყობა ჩვენი თეატრის შემოსავალს.

დღეს არწრუნის თეატრში დანიშნულია წარმოსადგენად ა. ციფიანისგან გადმოკეთებული დრამა „ქალის სათნოება“.

* * *

ხვალ 30 ქრისტიშობისთვეს დანიშნულია შემდეგი კრება ქართული სამეცნიერო ტერმინების შესამუშავებლად ქალაქის რჩევის დარბაზში, საღამოს შვიდ საათზე.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**სიღნაღი, 20 დეკემბერს.** მოგეხსენებათ, რომ ჩვენ სიღნაღში ამ ორის წლის წინად გახსნეს ჩინოვნიკებმა თავიანთვის კლუბი. მიზეზი ჩინოვნიკების განშორებისა უწინდელი კლუბისაგან გახლდათ ის, რომ სიღნაღის ჩინოვნიკები თხოულობდნენ წესიერებას და მიღებას იმ ნაირ წევრისა, რომელიც უნდა ყოფილიყო ღირსი თავის წოდებისა და დამცველი მშვიდობიანობისა. მოქალაქებმა არ ისურვეს ამ ნაირი წინადადების მიღება ჩინოვნიკებისა და ამისთანავე ჩინოვნიკები იძულებულ იყვნენ მოშორებოდნენ იმ მოქალაქეთ, რომელნიც ხშირად ახდენდენ უწესოებას. პირველმა სამოქალაქო კლუბმა, სადაც ბრძანდებიან სულ ბარიღუსები დაამცირა თავისი სახელი, რადგან იმაში ირიცხებიან ისეთი წევრნი, რომელნიც არ არიან ღირსნი თავიანთ წოდებისა და არ ესმით თავიანთ ხარისხი, გარდა ჩხუბისა და უწესოებისა. ჩინოვნიკების კლუბში კი ჰსუფევს მშვიდობიანობა და ერთმანეთში თანაგრძობა; აქ არ არის იმ ნაირი ლანძღვა და ჩხუბი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე სამოქალაქო კლუბში. გასაშტერელი ის არის, რომ იმათ უსტავს და სტარშინებს არა აქვთ გავლენა, რომ მოსპონ უწესოება და იყვნენ გამორიცხულნი არა-ღირსნი წევრები.

მაგრამს ყველაზედ საყურადღებო მამაცობა იჩენს აქაური თათრების ადვოკატი ვ. ნ—ოვი. ამას არ ეშინიან საპყრობილისა, რადგანაც მალ-მალ ეწვევა ხოლმე იმას სტუმრად. ეს ის ნ—ოვი გახლავთ, რომელმაც ეწინააღმდეგა თავის ძმით პოლიციის ჩინოვნიკს ზალიევს. ბევრჯელ მოახდინა ამან უწესოება სამოქალაქო კლუბში, მაგრამ, სადილის შემწეობით და ამისავე მზგავსის პირების გამო, რჩებოდა კიდევ წევრად. ამას წინად მთვრალმა ნ-ოვმა დაუწყო გინება ერთს წევრთაგანს; წევრი იძულებულ იყო ეთხოვნა სტარშინასთვის, რომ დაემშვიდებინა ის და მასთან, რომ იყოს გამორიცხული წევრობიდგან. სტარშინამ მისცა წინადადება ნ—ვს, რომ ის დამშვიდდეს,—მაგრამ ნაცვლად დამშვიდებისა, მიიწია სტარშინაზედ და მიაყენა მას შეურაცხყობა. მეორე დღეს ბ.

---

დნენ, ისინი კარგად გამოდიოდნენ და ის კი რჩებოდა.

პოლაზედ კი არ მოსდიოდა ჯავრი თუ?!

— რა გაუხდათ ამ ჩვენ მასწავლებლებს ე პოლაი, რომ ყველანი ხუთებს (5) უსმენ? მაგაზედ ნაკლებ ვინ სწავლობს, ან მაგაზედ ნაკლებ ვინ არის გონება-გახსნილი?

პოლა დაახლოვებული იყო ერთ წითელ-წვერა მასწავლებელთან, რომელიც პირველი პირი იყო ამ სასწავლებელში. ყოველ შაბათობით ჩადიოდა მასთან ალსარების სათქმელად და, შემდეგ ალსარებისა, დიდ და გრძელ დარიგებაებს წაუკითხავდა მას წითელ-წვერა და მოჰყვებოდნენ მამაშვილურად ტკბილ ჭიკჭიკს.

პოლა იყო იმისი „ყურები და თვალები“. ამის მეოხებით ის გულთამხილველიც გახდა... ჩილდოდ წითელ-წვერამ აღუთქვა კიევის კლიაში თავის ხარჯით გაგზავნა, რომ იქაური ილუმენისათვის ფეხები ებანა ხოლმე და ესწავლა შიში, მორიდება და მონობა მეუფროსეებისა...

წითელ-წვერამ ყველა მასწავლებლებს კარგად გააცნო პოლა, ყველას სთხოვა, რომ მისთვის, როგორც დიდის ნიჭიერისთვის, ყურადღება მიექციათ. აბა, რაღა თქმა უნდა: კაცს რაკი ღმერთი შემწე ჰყავს, წმ. მიტროფანე რას დააკლებს?..

ხვენშიამ, რაც ეხლა გიამბეთ პოლაზედ, სრულებით არა იცოდა-რა და მარტო იმას აყვედრებდა და ჯავრიც იმაზედ მოსდიოდა ხუთებს რად უსმენო. ერთხელ კიდეც შემოსწყრა ხვენშია. პოლასთვის დიდად სამწუხარო და საგრძნობელი იყო ხვენშიას დაშორება, რადგან უზრუნველად, დროს დაუკარგველად, მზად სარგებლობდა სიტყვებს.

— ზინდა სულ ოთხები მიგაღებინო? წასჩურჩულა ერთ საღამოს პოლამ ხვენშიას, როდესაც ყველანი დალაგებულნი იყვნენ სამეცადინოდ, და ხვენშიას ხვითქით ოფლი გადასდიოდა ბერძნულ სიტყვების ქექით.

— როგორ მიმაღებინებ?

— შენ რას დაეძებ! შენ ხილი ჭამე, მეხილეს რას მეკითხები.

— ოღონდ ოთხები მიმაღებინე, უთხრა ხვენშიამ, და მამაჩემი ქრისტესია არ წამიწყდება, ბერძნულ სიტყვებსაც მე ამოგიწერ, პასოვიჩის ლექსიკონს, ორთავ ტომებს, ზედ ზურგზედ დავიკრებ და ისე ვატარებ...

— მაშ კარგი, უთხრა პოლამ; გამოვარდა კარზედ, ჩაირბინა კიბეები და ჩვეულებრივ შევიდა წითელ-წვერასთან.

ალსარების შემდეგ ამოვარდა პოლა საჩქაროდ და მიაძახა ხვენშიას:

— წითელ-წვერა გიბარებს, წამო ჩქარა!..

ხვენშია ცოტა არ იყოს გაწითლდა, თითქო შეშინდა კიდეც. სხვებმაც ყურები აცქვიტეს. ყველამ კარგად იცოდა გამოცდილებით, რომ წითელ-წვერასაგან მიხმობა ანუ დაბარება, კარგ ნიშანს არ მოასწავებდა. წითელ-წვერა ყველას არწმუნებდა, რომ ის შესანიშნავი პსიხოლოლია; რომ ვინც რას ფიქრობს, ავს თუ კარგს, ის იმის გულში კითხულობს. დიალ, ამბობენ, შესანიშნავნი ფსიხოლოლები წაიკითხავენ ხოლმე კაცის სახეზედ მისს შინაარსს, ხასიათს, მაგრამ, ღმერთმა უწყის, რომ ის ფსიხოლოლი სრულებით არ იყო. არა, მამაშენი ნუ წაგიწყდება, რომელ ფსიხოლოლს შეუძლიან შეიტყოს: მე წუხელის „ოქროს ხოხობს“ ვკითხულობდი, თუ „ბიუსნერს“? მაგრამ წითელ-წვერა კი შეიტყობდა ხოლმე. ამისთანა ფაქტების გამოცნობაზედ რომ მივარდებოდა საქმე, მაშინ წითელ-წვერა „გულთა-მხილავად“ აღვიარებდა თავის თავს პსიხოლოლად...

აქ შაგირდებმა მიტომ აცქვიტეს ყურები, რომ, იქნება, ღმერთი ვაუწყრა ამ ღვთის კაცს ხვენშიას, გულში შესცოდა რამე და იქ „გულთამხილავმა“ (?) შეტყობის უმალვე დაიბარაო. ეს ფიქრები ტყუილი გახლდათ.

ეს წამი შესანიშნავი დრო იყო ხვენშიასთვის. ეხლა მას ახალი ხანა უდგებოდა და მომავალში ფართო, დატკეცილი გზა უკეთდებოდა, სადაც მარტო ხვენშიაებსა და პოლაებს შეუძლიანთ არხეინად სიარული...

სოსო ტანისველი.

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ—ოვმა შეირიგა სადილით ჩვენი სტარშინა, და ამ ნაირად დარჩა ის ისევ წვრად. ერთის სიტყვით, ამ ნ—ვმა შეაშინა მთელი წევრები და სტარშინები და იმათ ვერ გაბედეს გამორიცხვა იმისი, რადგანაც ეშინიანთ, ლანძღვა და უწესოება ზევრს ცემად არ გადაუქციოს.

ამ ერთის კვირის წინად, სამოქალაქო და ჩინოვნიკების კლუბის წევრთ მოლაპარაკება ჰქონდათ ორის კლუბის შეერთებაზედ. მაგრამ ისეთი პირობები წარმოადგინა ორივე მხარემ, რომ ამ ჯერობით ამათი შეერთება არ მოხერხდა. იმედია კი, რომ ძალიაუნებურად შეერთდებიან, რადგან ორ კლუბს კი არა, ერთსაც არ შეუძლიან აქ რიგიანად არსებობა.

## კერძო საავადმყოფო

ქუქიაში, ხემიონოვის ქუჩა, აზვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ $10^1/_2$-მდის ნავასარტიანც—ქირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; $10^1/_2$ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდის უმაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი *) სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ. - შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოში ექ. ნოვოსარტიანცი დგას.

*). ბაბაევი მიიღებს ავადმყოფებს 8 იანვრიდამ.

ბ). იანვარში საავადმყოფოში გაიხსნება წყლით სამკურნალო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.

# განცხადებანი

გაიცემა იჯარით მამული თელავის მაზრაში ს. ყვარელში. საიჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სახნავ-სათესი და სამოვარი ადგილები, ტყე და ორ თვალიანი წისქვილი. არის აგრეთვე სახლი, მარანი და ყოველი საოჯახო შენობები და მოწყობილობანი.

მსურველს დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ელისაბედ სოლომონის ასულის მარჯანოვისაგან ქ. ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე მირზოევის სახლებში ფოჩტის სტანციის პირდაპირ № 44. (20—10)

1883 წ. 7 იანვარს

თბილისის კრუჟოკში იქნება

## ბალი

სასარგებლოდ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელის თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა.

დაიწყება ღამის 9 საათ.

(9—4)

ბ.ბ. მუშტართ ჩაისა

ჩვენის ფირმის უმორჩილესად ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლობაზე ასოთ პ. და ს.

ძმანი პ. და ს. პაპოვები, სავაჭრო სახლი მოსკოვში. (10—10)

**ОБЪ ИЗДАНІИ**

въ 1883 году

Въ г. Тифлисѣ

еженедѣльнаго юридическаго журнала

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(*годъ третій*)

*Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложеній, по прежней программѣ,* въ объемъ которой входятъ *статьи по всѣмъ вопросамъ,* вытекающимъ *изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе* важнѣйшихъ *распоряженій и узаконеній правительства,* краткіе *отчеты* (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) *о выдающихся судебныхъ дѣлахъ,* особенно интересныя *гражданскія рѣшенія,* случаи изъ судебной жизни и практики (*разныя извѣстія*), *корреспонденціи* юридическаго содержанія, *городская хроника,* перечень *новыхъ книгъ* юридическаго содержанія и *обзоръ печати, тезисы кассаціонныхъ рѣшеній:* Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной Палаты, *судебный указатель* и пр.

*Редакція* журнала—Тифлисъ, Давидовская ул. д. Кананова.

*Администрація* (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул. д. Меликова.

*Подписная цѣна на журналъ,* съ доставкою и пересылкою, *на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 20 к.,*

*Разсрочки въ платежъ* денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: *при подпискѣ 4 руб. и въ февралѣ и мартѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и чрезъ мѣсяцъ еще 3 р.*

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—*Отдѣльные нумера* по 25 к.—*Объявленія,* казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ *Москвѣ и С.-Петербургѣ* въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Редакторъ А. В. *Степановъ.*

Издатель А. С. *Френкель.*

(Присяжный Повѣренный)

(6—5)

## ისყიდება

ერთი ფუთი და ოცდაათი გირვანქა ვერცხლის სუფრის იარაღობა, პრიბორები; ბრილიანტის და ოქროს ნივთები პიკაზში დაგირავებული. პირობების შეტყობა შეიძლება არსენალის ქუჩაზე, ფულინოვის სახლებში პოლიცი ჩინოვტთან ან გოლოვინის პროსპექტზე ნანუკოვის საგენტოში.

(3—2)

ინგლისის მაღაზიაში

## თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—22)

აქვე ისყიდება ქინის პომადა იმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

მომავალს 1883 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „შრომა“

გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

გაზეთის გამოსაწერა ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლის—შვიდი მანეთი, ნახევრის წლის—ოთხი მანეთი, სამის თვის—ორი მანეთი და ხუთი შაური.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ქ. ქუთაისში: გაზეთის რედაქციაში, ტფილისის ქუჩაზედ, ქურთიევის სახლში.

ქ. ტფილისში: შავერდოვის გაზეთების საგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Кутаисъ. Въ редакцію газеты „Штрома“.* (6—3)

## ჟურნალის «ივერიის» გამოცემაზედ

1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).

მომავალს 1883 წელს სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც აქამომდე გამოდიოდა. მხოლოდ რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონისძიება, რომ ჟურნალი შინაარსით უფრო სრული იყოს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი მოვლენა, რომელიც კი მოხდება ან ჩვენს ცხოვრებაში, ან რუსეთისაში, ან უცხო ქვეყნებისაში, ჟურნალმა უყურადღებოდ არ დასტოვოს.

ჟურნალს აღუთქვეს თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქცია ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხოვრებიდამ უფრო მეტი ადგილი ეჭიროთ ჟურნალში, ვიდრე აქამომდე ეჭირათ. ეხლა რედაქციის ხელშია რამდენიმე მოთხრობა ჩვენის ცხოვრებიდამ, რომელნიც მომავალს წელს ჟურნალში იქნებიან დაბეჭდილნი.

უმთავრესი ყურადღება ჟურნალში მიქცეული ექნება შინაურს მიმოხილვას. აგრეთვე თვის-და-თვის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი განყოფილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო ქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები, სამეცნიერო წერილები თეატრი და სხვ. გარემოებათა შესაფერად, რედაქცია ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათაგანი ვრცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რადგან ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მიუმატა ჟურნალს პედაგოგიური განყოფილება, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება თვალ-ყური ადევნონ პედაგოგიის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენმა გამოცდილმა პედაგოგებმა აღგვითქვეს ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

„ივერიაში“ მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი პირნი: დ. ზ. ბაქრაძე, ი. ბაქრაძე, ეკ. გაბაშვილისა, ბ. გაბაშვილი, ი. გოგებაშვილი, თ. რაფ. ერისთავი, გ თუმანიშვილი, ეგ. ილიელიანი, ნ. ლომოური, ი. მეუნარგია, ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი), ა. ნანეიშვილი, თ. ჟორდანია. ნ. ქანანოვი, მ. ყიფიანი, ბ. ყიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, მღ. ჯანაშვილი და სხვ..

ხელის-მოწერა ჟურნალს „ივერიაზედ“ მიიღება მხოლოდ მთელის წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანეთი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ოთხი მანათი პირველს იანვრამდე 1883 წ. შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე.

სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ დაეთმობათ წელიწადში ხუთ მანათად, ან სამი მანათი პირველს იანვრამდე და ორი მანათი პირველს მაისამდე 1883წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში: შავერდოვის საგენტოში, ბულვარზე, ალექსანდროვის ბაღთან და ნანუკოვის და ჯაბადრის საგენტოში, ბულვარზედვე, ბელოვის სახლში; აგრეთვე რედაქციაში, ყოველ-დღე დილის რვა საათიდამ ათ საათამდე, რედაქცია იმყოფება, გოლოვინის პროსპექტზედ (ბულვარზედ), ონანოვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію журнала „ИВЕРІЯ“.

4—3

რედაქტორები { ილია ჭავჭავაძე. ი. მაჩაბელი.

*Дозволено цензурою. Тифлисъ. 28 Декабря 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი